



**სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი  
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

**“საჯარო მმართველობა”  
“Public Administration”**

ფართო სფერო: 04 - ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი Business, Administration and Law  
ვიწრო სფერო: 041 ბიზნესი და ადმინისტრირება Business and Administration  
დეტალური სფერო: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება Management and Administration  
(0413.1.3 საჯარო მმართველობა Public Administration)

**პროგრამის ხელმძღვანელები:**

შალვა ჭკადუა, ასოცირებული პროფესორი  
ირმა შიოშვილი, პროფესორი, ფილოსოფიის აკადემიური დოქტორი;  
ეკატერინე ნაცვლიშვილი, მონვეული დოქტორი

1. მიღებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ
2. ოქმი №11, 4.06.2024წ.

ფაკულტეტის დეკანი:

/თ. თამარაშვილი/

3. რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურების მიერ

ოქმი № №10 4.06.2024 წ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის ხელმძღვანელი:

/ს. თათულიშვილი/

4. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ  
ოქმი № 15 4.06.2024 წ.

უნივერსიტეტის რექტორი:

/შ. ჭკადუა/

**თელავი**  
**2024**

**ფაკულტეტი:** სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის

**დეპარტამენტი:** სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** საჯარო მმართველობა - Public

Administration

**პროგრამის ანალოგ(ებ)ი:** პროგრამა შემუშავებულია საქართველოსა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამების გამოცდილების გათვალისწინებით, კერძოდ:

1. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - (პროგრამის შესახებ ინფორმაცია იხ. ელ-მისამართზე: <https://gtu.ge/pdf/programs/bach/bef/file3.pdf>)
2. სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - (პროგრამის შესახებ ინფორმაცია იხ. ელ-მისამართზე: <https://atsu.edu.ge/ge/faculty/7-biznesis-samartlisa-dasotsialur-metsnierebata-pakulteti/fprograms/1/78>)
3. სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი - (პროგრამის შესახებ ინფორმაცია იხ. ელ-მისამართზე: <https://sjuni.edu.ge/wp-content/uploads/2023/11/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98.pdf>)
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტი - (პროგრამის შესახებ ინფორმაცია იხ. ელ-მისამართზე: <https://cu.edu.ge/ka/schoolss/csg/programs-csg/bachelor-csg/sabakalavro-programa-sajaro-martvashi>)
5. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი - (პროგრამის შესახებ ინფორმაცია იხ. ელ-მისამართზე: <https://ibsu.edu.ge/ge/law-page/public-administration-and-state-governance/>)
6. University of Colorado, Denver, USA, - Curriculum of BA in Public Administration <https://publicaffairs.ucdenver.edu/programs/public-affairs-programs/bachelor-of-arts-in-public-administration>
7. University at Albany – State University of New York, USA, – BA in Public Policy and Management - <https://www.albany.edu/rockefeller/programs/ba-public-policy-and-management>
8. National University, Los Angeles, CA, Bachelor in Public Administration - <https://www.nu.edu/degrees/professional-studies/programs/bachelor-public-administration/>)

**საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები:**

- ასოცირებული პროფესორი შალვა ჭკადუა,  
საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.: (+995) 599 323 810; ელ.ფოსტა: rector@tesau.edu.ge
- პროფესორი ირმა შიოშვილი,  
საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.: (+995) 599 194 422; ელ.ფოსტა: vicerektor@tesau.edu.ge

- მონვეული დოქტორი ეკატერინე ნაცვლიშვილი  
საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.: (+995) 599 756 614; ელ.ფოსტა:  
ekaterine.natsvlishvili@tesau.edu.ge

**აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)

**საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** ძირითადი

**სწავლების ენა:** ქართული

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**

საჯარო მმართველობის ბაკალავრი (Bachelor of Public Administration - BPA)

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240 (ECTS ) კრედიტი.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი, კერძოდ, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შეუძლია ჩარიცხვა საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმატებით ჩააბარებს საქართველოს ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ აღმინისტრირებულ გამოცდებს. პირის ჩარიცხვა, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ.

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ნათლად არის ასახული სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები, აგრეთვე სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ძირითადი მიზნები.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტს შესთავაზოს საჯარო სექტორის სპეციფიკას (განსაკუთრებით რეგიონულ/მუნიციპალურ საჭიროებებს) მორგებული, უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- I. სტუდენტებს მისცეს ფართო ცოდნა საჯარო მმართველობის სფეროში, საფუძვლიანად გაარკვიოს ისინი თანამედროვე პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ გარემოში საჯარო სამსახურის განვითარების შესაძლებლობების თუ გამოწვევების შეფასებასთან, ორგანიზაციული პროცესების მართვასთან, საჯარო მოხელის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებში;
- II. სტუდენტებს შესძინოს საჯარო მმართველობის პროცესში წამოჭრილი სტანდარტული თუ გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაწყვეტისათვის საჭირო მეთოდოლოგიური ცოდნა, ასევე, საბაზისო მეთოდების / ინსტრუმენტების პრაქტიკაში გამოყენების უნარები; ჩამოუყალიბოს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-მმართველობითი პრობლემის გადაწყვეტისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;

III. სტუდენტები მოამზადოს საჯარო მმართველობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე, კვალიფიციურ და კონკურენტუნარიან სპეციალისტებად, რომელნიც, საჯარო სამსახურში დასაქმებისათვის მოთხოვნილი საფუძვლიანი დარგობრივი ცოდნა-უნარების კვალად, ფლობენ ასევე პროფესიული განვითარებისა და პიროვნული მიღწევებისათვის მნიშვნელოვან ზოგად კომპეტენციებს; აცნობიერებენ სახელმწიფოსა თუ საზოგადოებასთან ურთიერთობისას თანამედროვე საჯარო მმართველობის პრინციპებით და ღირებულებებით ხელმძღვანელობის კრიტიკულ მნიშვნელოვნებას, პოზიციური უფლება-მოვალეობების განხორციელებისას საჯარო სამსახურში დამკვიდრებული პროფესიული სტანდარტებისა და ქცევის ზოგადი წესების დაცვის აუცილებლობას, კანონის უზენაესობასა და მის წინაშე თანასწორობას.

**სწავლის შედეგი:** სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე დონეს (უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - ბაკალავრიატი) და უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ასევე, საჯარო მმართველობის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით დადგენილ იმ მოთხოვნებთან, რაც სავალდებულოდ განისაზღვრა საჯარო მმართველობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად და ეფუძნება რეკომენდირებულ სწავლის შედეგებს. (იხ. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდზე ბმული: <https://eqe.ge/ka/page/static/1028/biznesi-administrira-da-samartali>). საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

#### **ცოდნა და გაცნობიერება**

- (1) **განიხილავს** საჯარო მმართველობის თეორიულ-კონცეპტუალურ საფუძვლებს: საჯარო მმართველობის ფორმირება-განვითარების ძირითად ეტაპებს, ტენდენციებს, საბაზისო თეორიებს, თანამედროვე კონცეფციებსა და მოდელებს, ფუნდამენტურ პრინციპებს; საჯარო მმართველობის ინსტიტუციურ, სამართლებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და ეთიკურ კონტექსტს; სახელმწიფო მართვისა და საჯარო სამსახურის სისტემების მახასიათებლებს, ძირითად პრინციპებსა და მეთოდებს.
- (2) **განმარტავს** თანამედროვე საჯარო მმართველობის ინსტიტუციური, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული და ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს; ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, მიმართულებებს, ფუნქციებს; ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ურთიერთობის განმსაზღვრელ სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ პრინციპებს; სახელმწიფოს, რეგიონული და მუნიციპალური მართვის ადგილსა და როლს პოლიტიკურ სისტემასა და საჯარო მმართველობაში; სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ქმედებების კოორდინაციის მექანიზმებს; შედეგზე ორიენტირებულ გადანაცვლებათა

რეალიზაციისთვის საჭირო მექანიზმებს; ზოგადად, საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ ძირითად ცნებებსა და დებულებებს.

- (3) **აღწერს** საჯარო ორგანიზაციების ლოკალურ, ეროვნულ და გლობალურ გარემოს, მიმდინარე პროცესებს; საჯარო მმართველობის პროცესში მონაწილე ძირითად აქტორებს, ინტერესთა ჯგუფებს; საჯარო მმართველობის პროცესში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმებს; გლობალიზაციისა და ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში დემოკრატიული სახელმწიფოსა და შედეგზე ორიენტირებული საჯარო მმართველობის განვითარების ძირითად მიმართულებებს, საჯარო მენეჯმენტის რეფორმირების, ელექტრონული მმართველობის, „კარგი მმართველობის“ სტანდარტების დანერგვის თანამედროვე ტენდენციებს, უახლეს მიღწევებსა და გამოწვევებს; მმართველობითი პროცესის განხორციელების ეფექტიან/ეფექტურ და/ან ინოვაციურ ინსტრუმენტებს, მათ შორის საერთაშორისო დონეზე.
- (4) **სსნის** ორგანიზაციის/ინსტიტუტის რესურსების (ადამიანური, ფინანსური, ინფორმაციული, მატერიალური, სხვ.) ეფექტიანად და ეფექტურად გამოყენება-მართვის, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ფინანსური სისტემის რეგულირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვა-განხორციელების, შეფასების, საჯარო ორგანიზაციების გამართულად მუშაობის, ხარისხიანი საჯარო სერვისების მიწოდების, ანგარიშვალდებული და ეფექტიანი მმართველობის განხორციელების, საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციისა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის მნიშვნელობას თანამედროვე, წარმატებული საჯარო სამსახურის ფუნქციონირებისათვის.

#### **უნარი:**

- (5) საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემის შესწავლა-გადაწყვეტისათვის **იყენებს** რელევანტურ საბაზისო მეთოდოლოგიას: რაოდენობრივი ან/და თვისებრივი მეთოდების, შემთხვევის შესწავლის, პოლიტიკის ანალიზისა თუ სხვა რელევანტური მეთოდების ან/და ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენების საფუძველზე **აანალიზებს** საჯარო მმართველობის გარემოში მიმდინარე პროცესებს; რელევანტური მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შედეგად **გამოკვეთს** და **იკვლევს** სახელმწიფო თუ ადგილობრივი ეკონომიკის, საფინანსო პოლიტიკისა და ბიუჯეტირების, საერთო-სახელმწიფო, რეგიონული და მუნიციპალური მართვის, სოციალურ, საკანონმდებლო-სამართლებრივ, პოლიტიკურ ან/და საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ პრობლემებს; **ამოიცნობს** და **აფასებს** საჯარო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელების, რესურსების მართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე მოქმედ ფაქტორებს; საჯარო მმართველობის ეფექტურად განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად გამოწვევებს, საჯარო სამსახურის ფუნქციონირებისა და საჯარო მმართველობის (სახელმწიფო, რეგიონული, მუნიციპალური) სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე მოქმედ ფაქტორებს; **მსჯელობს** მოსალოდნელ/თანმდევ შედეგებსა თუ ეფექტზე, რისკებზე, შესაძლებლობებზე.
- (6) კონკრეტული სიტუაციური მაგალითების განხილვისას, საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული პროცესების ანალიზის საფუძველზე, **განსაზღვრავს** მმართველობის სხვადასხვა დონეზე (ეროვნული, რეგიონული, მუნიციპალური,

დარგობრივი, ორგანიზაციული) გამოვლენილი პრობლემების/გამოწვევების გადაწყვეტისა და პროცესების ეფექტურად მართვის, საჯარო ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესებისა და ხარისხიანი მომსახურების/საზოგადოებრივი სიკეთის მიწოდების სრულყოფის ღონისძიებებს; **გამოკვეთს** პრიორიტეტულ მიზნებს, სამოქმედო ამოცანებს, დაგეგმვისა და მართვის კოორდინაციისთვის აუცილებელ პროცესებს და ინდიკატორებს; **აყალიბებს** არგუმენტირებულ წინადადებებს / დასკვნებს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის ან/და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობების/გასატარებელი ცვლილებების თაობაზე.

- (7) წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, **გეგმავს და წარმართავს** კვლევას საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე; ინფორმაციის მოძიებისა და მონაცემთა დამუშავების საფუძველზე, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, შეიმუშავებს კვლევით პროექტს / საბაკალავრო ნაშრომს, რომელსაც **წარადგენს** დაინტერესებული მხარეების წინაშე; **ამყარებს** ეფექტურ **კომუნიკაციას**, მონაწილეობს დისკუსიაში, მკაფიოდ **აყალიბებს** და არგუმენტირებულად **ასახულებს** საკუთარ პოზიციას.

#### **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

კონკრეტული სიტუაციური მაგალითების განხილვისა და საჯარო მმართველობის სფეროში პრობლემების გადაწყვეტისას

- (8) **მონაწილეობს** საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების მართვის პროცესში; **ითვალისწინებს** დემოკრატიულ ფასეულობებს, კონსტიტუციურ წესრიგს და ადამიანის უფლებებს; საჯარო სამსახურში დადგენილ სტანდარტებს, ძირითად პრინციპებს, ქცევის წესებს, ეთიკურ ნორმებს, საზოგადოებასა თუ საჯარო სამსახურში არსებულ მრავალფეროვან გარემოს/საჭიროებებს; ჯგუფის მრავალფეროვნებისა და ინდივიდუალური განსხვავებების თავისებურებებს; **გადაწყვეტილებებს იღებს / მოქმედებს** ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური და ზნეობრივი პასუხისმგებლობისა თუ პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში.

- (9) **აფასებს** საჯარო მოსამსახურის საქმიანობის ეკონომიკურ, სამართლებრივ, სოციალურ და ეთიკურ შედეგებს; საჯარო სამსახურის სფეროში აღიარებული პრინციპების, დამკვიდრებული ნორმებისა და ღირებულებებისადმი საკუთარ თუ სხვების დამოკიდებულებას; მსჯელობს გამოწვევებზე და ორიენტირებულია საკუთარი და სხვების პროფესიული კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობებზე.

#### **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები:**

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლების პროცესის ორგანიზების მიზნებისათვის გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები და აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით დადგენილი ცოდნისა და უნარების მიღწევას და საჯარო მმართველობის ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას.

პროგრამის მიზნები ხორციელდება და სწავლის შედეგები მიიღწევა ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში შეთავაზებული, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების გზით -

ლექციების, სამუშაო ჯგუფში მუშაობის, სტუდენტთა კონსულტირების, მათი დამოუკიდებელი მუშაობის, სასწავლო პრაქტიკის გავლის, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად საბაკალავრო ნაშრომის მომზადების მეშვეობით.

საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ სასწავლო კურსებში გამოყენებულია შემდეგი სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები:

- |  |   |  |
|--|---|--|
| <input type="checkbox"/> ლექცია                            | <input type="checkbox"/> სამუშაო ჯგუფში მუშაობა | <input type="checkbox"/> სემინარი            |
| <input type="checkbox"/> საშინაო დავალება/რეფერატი/პროექტი |   | <input type="checkbox"/> პრაქტიკული მუშაობა  |
| <input type="checkbox"/> სასწავლო პრაქტიკა                 |   | <input type="checkbox"/> საბაკალავრო ნაშრომი |
| <input type="checkbox"/> ელექტრონული რესურსით სწავლება     |   | <input type="checkbox"/> სხვა                |

პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული თითოეული სასწავლო კურსისთვის სწავლება-სწავლის მეთოდები შერჩეულია შესაბამისი შესასწავლი მასალის შინაარსისა და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით. ამდენად, კონკრეტული სასწავლო კურსის განმარტებული ლექტორი, შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა მეთოდს სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. სასწავლო კურსების სილაბუსები იძლევა დეტალურ ინფორმაციას გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების შესახებ.

ქვემოთ მოცემულია საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის შერჩეული მეთოდებისა და აქტივობების მოკლე აღწერა.

**ლექცია** - პირდაპირი სწავლების პროცესია, რომლის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს კონკრეტული თემის მიმართ თეორიული მიდგომები, შესთავაზოს პრობლემის გადანყვევების თეორიულ-პრაქტიკული გზები. ლექცია იძლევა მთლიან, სისტემატიზირებულ, მტკიცებულებით წარმოდგენას ამა თუ იმ პრობლემაზე და უზრუნველყოფს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების თეორიულ-მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას, გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ლექცია ემსახურება სტუდენტის კოგნიტური უნარების განვითარებას, ცოდნის აკუმულაციას და სისტემატიზებას. პროგრამით შეთავაზებული სასწავლო კურსების სილაბუსებში ყოველი ახალი თემა იწყება ლექციით, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობა (თუ სხვა მეთოდი/აქტივობა) ახალი მასალის სათანადოდ გააზრებასა და ცოდნის განმტკიცებაზეა ორიენტირებული. ამიტომ სწავლების შემდეგი ეტაპის შედეგები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ლექციის ხარისხზე. თეორიული მეცადინეობები წარიმართება, უპირატესად, ინტერაქტიური მეთოდებით. სტუდენტებს სასწავლო მასალა მიეწოდება სისტემატურად და თანმიმდევრულად სასწავლო კურსის სილაბუსის გეგმის შესაბამისად. თეორიული ლექციები წარიმართება, უპირატესად, საპრეზენტაციო მასალების გამოყენებით. ამასთან, ფაქტები, მაგალითები, სქემები, დიაგრამები, გრაფიკები და სხვა თვალსაჩინოებანი ემსახურება ლექციის იდეის ახსნას.

ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემატად ყალიბდება **სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით**, რომლის მიზანია: სტუდენტს აღუძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი (რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა); განუვითაროს პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სილაბუსებით გასაწვლელი თემების/ცალკეული საკითხების გარშემო ინფორმაციის

დამოუკიდებლად (სასწავლო კურსის ხელმძღვანელის ჩართულობის გარეშე) მოძიება-დამუშავების, დავალების შესრულებისათვის რესურსების განსაზღვრის, საკუთარი აკადემიური შესაძლებლობის შეფასების და ცოდნის განმტკიცებისათვის სწავლის მეთოდის/სტრატეგიის შერჩევის (სწავლის სწავლის) უნარ-ჩვევები. დამოუკიდებელი მუშაობა - მოიცავს სტუდენტის მიერ სასწავლო დისციპლინის ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის რაოდენობას. „დამოუკიდებელ საათებში“ მითითებულია დრო, რომელიც შეიძლება დასჭირდეს საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტს სასწავლო მასალის დამოუკიდებელი მუშაობით ათვისებისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**სამუშაო ჯგუფში მუშაობის** ფორმატში სტუდენტების ინდივიდუალური/ჯგუფური მუშაობა წარმართება სასწავლო კურსების სილაბუსებში კონკრეტული თემატიკის დაუფლების მიზნით განერილი სასწავლო აქტივობების (ქვისების, პრობლემური სიტუაციების განხილვა; დისკუსიის, დებატების, როლური/სიმულაციური თამაშების გამართვა; საშინაო დავალების განხილვა, სხვ.) გამოყენებით. სამუშაო ჯგუფში მუშაობის მიზანია ლექციებზე მიღებული ცოდნის გაღრმავება და დაკონკრეტება, პრაქტიკული ხასიათის აქტივობების განხორციელებით სტუდენტთა ცოდნის განმტკიცება და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარჩვევათა განვითარება.

**პრაქტიკული მეცადინეობის** დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, მაგალითად, ნახაზების, სქემების შესრულებაზე, გაანგარიშებებში შესაბამისი ტექნიკის გამოყენებაზე და სხვ.

**სასწავლო პრაქტიკა** ემსახურება სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებას; ხელს უწყობს ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნა-უნარების პრაქტიკულ სიტუაციებში გამოყენებას, საჯარო მმართველობის პროცესში რეალურად იდენტიფიცირებული პრობლემ(ებ)ის სასწავლო კურსის ფარგლებში ათვისებული მეთოდების/ ინსტრუმენტების გამოყენების გზით გადაწყვეტის პრაქტიკულ ჩვევათა განვითარებას.

**საბაკალავრო ნაშრომი** - უზრუნველყოფს სტუდენტის მინიმალური კვლევითი უნარების განვითარებას, აგრეთვე ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნა-უნარების პრაქტიკულ სიტუაციებში გამოყენებას. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის შემაჯამებელ სამუშაოს, სრულდება **თეორიულ-პრაქტიკული კვლევითი ნაშრომის** სახით, რომლის მიზანია - სასწავლო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის შესწავლით სტუდენტის მიერ მიღწეული კომპეტენციების ფარგლებში მიღებული ცოდნის ინტეგრაცია, გაფართოვება და გაღრმავება საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული კონკრეტული პრაქტიკული პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაჭრის გზების ჩამოყალიბების და შემდგომი გადაწყვეტის მეშვეობით.

საბაკალავრო ნაშრომის არჩევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ შესრულებულია ვალდებულება - ათვისებული აქვს პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრული I-VII სემესტრის სასწავლო კურსები არა ნაკლებ 195 კრედიტის მოცულობით, მათ შორის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტიდან

ყველა სასწავლო კურსი, ჯამში 105 კრედიტის მოცულობით (გარდა სასწავლო პროექტის კურსის, რომელსაც სტუდენტი გაივლის საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად). სტუდენტს შესაძლებლობა აქვს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად გაიაროს, ასევე, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტის ანდა თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (არა უმეტეს 45 კრედიტის მოცულობის სემესტრული დატვირთვა).

საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში თუ მას შესრულებული აქვს ვალდებულება ყველა სასწავლო კომპონენტში (ჯამში ათვისებული აქვს 230 კრედიტი).

საბაკალავრო ნაშრომი უნდა შეასრულოს სტუდენტმა ინდივიდუალურად და დაიცვას საბაკალავრო პროგრამის VIII სემესტრში.

საბაკალავრო ნაშრომის წარმატებით დასრულებისა და დაცვისათვის სტუდენტმა უნდა შეძლოს: საჭარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემის კვლევა: იდენტიფიცირება, მისი შესწავლა-გადაწყვეტისათვის საჭირო რელევანტური ინფორმაციის მოძიება და მონაცემთა დამუშავება, შედეგების ანალიზი, შეფასება, დასკვნების ფორმულირება და პრობლემის გადაწყვეტის / პრევენციის ან/და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით საექსპერტო დასკვნის / რეკომენდაციების მომზადება; შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია, საკუთარი პოზიციის არგუმენტირებული დასაბუთება.

საბაკალავრო ნაშრომის მომზადების, გაფორმების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსსა და საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის შესახებ დებულებაში.

სამუშაო ჯგუფში მუშაობის ფორმატი ითვალისწინებს **სემინარული მეცადინეობების** ჩატარებას, რომლის მიზანია ყურადღების კონცენტრირება კონკრეტული დავალებების, ტიპური ამოცანების და ქეისების შესრულებაზე, რაც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, სტუდენტის კოგნიტური უნარების განვითარება-განმტკიცებას, მეორე მხრივ კი, სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარ-ჩვევების განმტკიცებას. **სემინარის დანიშნულებაა** სტუდენტს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება.

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება, ასევე, შემდეგი მეთოდები და აქტივობები:

**ახსნა-განმარტების** გამოყენებით ლექტორი ახალ სალექციო მასალას გადასცემს სტუდენტს, აცნობს შესასწავლ თემას, უხსნის და განუმარტავს საკვანძო საკითხებს, დებულებებს თუ ტერმინებს. აღნიშნული გამოიყენება **ვერბალური და დემონსტრირებით** კომბინაციაში. კერძოდ, ახალი სალექციო მასალის **ვერბალური ახსნა-განმარტება** მიმდინარეობს შესაბამისი ვიზუალური ეფექტების (სქემის, სურათის, დიაგრამის, ვიდეო-სიუჟეტის) დემონსტრირებით. ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლებისას დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორცაა, მაგალითად, ამოცანის ამოხსნა დათვალიერების თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით. ამ გზით ლექტორი თვალსაჩინოს ხდის სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხურს, აკონკრეტებს, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს

საკითხის/ პრობლემის არსს. ვიზუალური ეფექტის წყალობით, მნიშვნელოვნად იზრდება სტუდენტის მიერ მასალის აღქმისა და დამახსოვრების ხარისხი.

**წიგნზე (წყაროზე) მუშაობა და წერიითი მუშაობა** გამოიყენება სტუდენტის კოგნიტური უნარების (ანალიზი, სინთეზი, დედუქცია, ინდუქცია, წაკითხულის გააზრება, წერიითი კომუნიკაცია), აგრეთვე, დამოუკიდებელი მუშაობის უნარჩვევათა განვითარების ხელშეწყობის მიზნით. **წიგნზე მუშაობა** გამოიყენება უპირატესად სტუდენტის მიერ სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის დამოუკიდებლად გაცნობის, შესაბამისი მასალის შესწავლის, მოცემული საკითხების დამუშავებისა და ანალიზისათვის. აღნიშნული საჭიროა სხვადასხვა სახის საშინაო დავალების: საპრეზენტაციო მოხსენებების, დებატების, დისკუსიების, რეფერატის მოსამზადებლად და ეხრმარება სტუდენტს მასალის ათვისებაში, გამოუმუშავებს რელევანტური ლიტერატურის, საინფორმაციო წყაროების, საკანონმდებლო და სხვა მასალის დამოუკიდებლად მოძიება-დამუშავებისა და დასკვნის გაკეთების უნარ-ჩვევებს. **წერიითი მუშაობა** გამოიყენება წაკითხული ლიტერატურიდან/ საინფორმაციო წყაროდან /აუდიო-ვიზუალური მასალიდან მთავარი ამონარიდის გაკეთებისას, თეზისების შედგენის, ქეისის წერილობითი ანალიზისას, ესეს ან რეფერატის შესრულებისას და სხვ.

**ინდუქციის** გამოყენებით ლექციის წარმართვისას სტუდენტი ეჩვევა სწავლის პროცესში ფაქტების განზოგადებასა და კერძო (კონკრეტული) წანამძღვრებიდან ზოგადი დასკვნების გამოტანას. ხოლო, **დედუქციის** შედეგად სტუდენტი სწავლობს საერთო ნიშან-თვისებიდან კერძო ნიშნების გამოყოფას, საერთო პრინციპების და კანონების გააზრება-ანალიზის საფუძველზე სწორი დასკვნების გამოტანასა და კონკრეტული მოვლენის ფაქტობრივი სინამდვილის დადგენას. **ანალიზის** გამოყენება სტუდენტს ეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში და უმარტივებს დასმული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალურ აღქმას. **სინთეზი** კი ხელს უწყობს ცალკეული საკითხების თავმოყრით მთლიანის შესახებ წარმოდგენის შექმნას და პრობლემის, როგორც „მთელი“ს დანახვის უნარის განვითარებას.

**შემთხვევის შესწავლა** (Case Study) აქტიურად გამოიყენება პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ სხვადასხვა კურსების სწავლებისას და ხელს უწყობს სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, პრაქტიკული შემთხვევების ანალიზის, კონკრეტულ სიტუაციაში პრობლემის იდენტიფიცირების, არასტუქტურირებული პრობლემების პრევენციის ან/და სწორი/ოპტიმალური გადაწყვეტის გზების მოძიების, კონკრეტულ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღებისა და სამოქმედო გეგმის დასახვის, აგრეთვე, საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების უნარ-ჩვევების განვითარებას. სწავლების პროცესში, **ზეპირი განხილვისათვის**, გამოიყენება საჯარო მმართველობის სფეროდან შერჩეული **სასწავლო ქეისები** (რომელთა მიზანია კონკრეტული მაგალითების გაცნობა-განხილვისა და გამოცდილების გაზიარების ფონზე, სწორი გადაწყვეტილების მიღების ალგორითმის გაცნობა), აგრეთვე დილემები ანუ **პრობლემის ფორმირებაზე ორიენტირებული ქეისები** (რომლებშიც აღწერილია სიტუაცია დროის კონკრეტულ პერიოდში გამოვლინებადი პრობლემებითურთ. ამგვარი ბიზნეს-ქეისის მიზანია - სიტუაციის დიაგნოსტიკის, პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარჩვევათა განვითარება-განმტკიცება).

საშინაო დავალების სახით წერილობითი ანალიზისათვის გამოიყენება ვრცელი, არასტრუქტურირებული ქეისი, რომლის დამუშავებაც ინფორმაციის დეტალური ანალიზის, პრობლემის იდენტიფიცირების, კრიტიკული გააზრების, მონაცემების დამუშავებისა და სისტემატიზების, გადანყვეტილების მიღების ალტერნატიული გზების მოძიება-განხილვისა და სამოქმედო გეგმის დასახვის უნარჩვევათა გამომუშავება-განვითარებას ემსახურება.

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** გამოიყენება როგორც კომპლექსური, რეალური, პრაქტიკული პრობლემების შესწავლა-გადანყვეტის გზით სტუდენტებისთვის რთული კონცეფციების და პრინციპების სწავლება-სწავლის დროს გამოსაყენებელი აქტივობა, რომლის დროსაც ახალი ცოდნის გენერირების საწყის ეტაპად გამოიყენებულია პრობლემა. (პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სხვადასხვა კურსის სწავლებისას PBL-ის მიზნებისათვის გამოიყენება პარადოქსული, არაორდინარული ფაქტები და იდეები; კონფლიქტური ან/და წინააღმდეგობრივი სიტუაციები; შეუსაბამობის ან/და გაურკვევლობის სიტუაცია; ვარაუდის სიტუაცია; არჩევანის სიტუაცია ან მორალური დილემა). ამ მეთოდით სწავლება სტუდენტებს აყენებს აქტიური შემმეცნებლის როლში, რადგან სწავლა ეყრდნობა ღიად დასმულ პრობლემურ შეკითხვებს, რომელთა გაგება-გადანყვეტა მათგან დამატებით ცოდნის გენერირებას მოითხოვს. PBL ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების უნარების, პრობლემების გადაჭრის და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას; შესაძლებლობას იძლევა სტუდენტებმა იმუშაონ ჯგუფებში, მოიპოვონ და შეაფასონ კვლევის მასალები და განვიითარონ ავტონომიური სწავლის უნარჩვევები.

**დავალებაზე დაფუძნებული სწავლება (Task-Based Learning - TBL)** - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში განერილი შედეგების მიღწევაში. დავალებაზე / ამოცანაზე დაფუძნებული სწავლის პროცესში სწავლება მიმდინარეობს სტუდენტებისათვის სხვადასხვა სასწავლო დავალებების (რომელიც შეიძლება მიწოდებული იყოს: კონკრეტული სიტუაციის, ამოცანის, სავარჯიშოს, პრაქტიკული დავალების ან რაიმე სხვა სახით) და მათი შესრულების ინსტრუქციების კომბინირებით. სწავლების პროცესში ამ მეთოდის გამოყენებისას ლექტორის ამოცანაა - სწავლის ხელშეწყობა დავალებების მომზადება-შეფასების გზით; ხოლო, სტუდენტის წინაშე დასახულია კონკრეტული დავალება/ამოცანა, რომელიც უნდა გადაიჭრას განსაზღვრული ინსტრუქციის შესაბამისად. საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის განხორციელების პროცესში TBL-ის მეთოდის გამოყენება და ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში მიცემული კონკრეტული დავალებების შესრულება - მოითხოვს სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია. ეს აქტივობა ხელს უწყობს სტუდენტის მიერ კონკრეტული ამოცანების გადანყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობით შესწავლას, თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავებას, საბოლოო ჯამში კი, მმართველობით გადანყვეტილებათა მიღების პროცესში რაოდენობრივი მეთოდების ან/და კონკრეტული მოდელების/ინსტრუმენტების/ტექნიკების გამოყენების უნარ-ჩვევათა განმტკიცებას.

**გონებრივი იერიში (Brain storming)** - გამოიყენება სასწავლო კურსების უმეტესობაში ცალკეული სალექციო თემის ახსნისას და ხელს უწყობს შესასწავლი თემის ფარგლებში

კონკრეტული საკითხისადმი/პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, რადიკალურად განსხვავებული აზრის/იდეის გენერირების, შედარებითი ანალიზის, სინთეზის, ლოგიკურად არგუმენტირებული და დასაბუთებული დასკვნის უნარჩვევათა განმტკიცებას. „ბრენშტორმინგი“ იწვევს სტუდენტების ინტერესის გაღვივებას საკითხისადმი, რაც მათ, საბოლოო ჯამში, საკითხის მრავალწახნაგოვან აღქმაში, სიღრმისეულად გაანალიზებასა და სათანადოდ დამახსოვრებაში ეხმარება. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან: - პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა. - დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე). - გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან. - კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა. - შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით. - უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

**დისკუსია** - პროგრამის სასწავლო კურსებში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებადი მიდგომაა, რომელიც მკვეთრად ამაღლებს სწავლების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, სადისკუსიოდ შერჩეულია პრობლემური, აქტუალური ან სტუდენტებისათვის საინტერესო თემები/საკითხები საჯარო მმართველობის (ან მასთან დაკავშირებული მომიჯნავე) სფეროდან. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ სადისკუსიო საკითხთან მიმართებით აქტიურად გამოავლინონ შეძენილი ცოდნა და ჩაერთონ ჯგუფში მუშაობის პროცესში, წარმოადგინონ მომზადებული პრეზენტაციები, დასვან რელევანტური კითხვები, წამოაყენონ კონტრარგუმენტები, არგუმენტირებულად დაიცვან საკუთარი მოსაზრებები. დისკუსიის საშუალებით სტუდენტი სწავლობს თავისი აზრის წარმოჩენას აუდიტორიის წინაშე, არგუმენტაციას, თავისი პოზიციის დასაბუთებას სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, იძენს სხვისი საწინააღმდეგო მოსაზრების მოსმენისა და პატივისცემის უნარს, ეუფლება მოსმენისა და კითხვების დასმის ტექნიკას.

**დებატი** - ამ მეთოდით სწავლება და ამ ფორმატში განხორციელებული აქტივობა ითვალისწინებს კრიტიკული საკითხების როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ კვლევას, მოხსენების დამუშავებას, მომზადებასა და არგუმენტირებულად წარმოდგენას წინასწარ განსაზღვრული პოზიციის მხარდასაჭერად; დებატებში მონაწილეობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აქტიური მოსმენის, სუბიექტური და ობიექტური ინფორმაციის გამიჯვნის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემის კომპლექსური ანალიზის, მწვავე კითხვების დასმის, კამათში მონაწილეობისას არგუმენტირების და კონტრ-არგუმენტირების, რელევანტური ინფორმაციის შეჯერების და მტკიცებულებაზე დაფუძნებული საკუთარი მოსაზრებების ფორმულირების უნარ-ჩვევათა განმტკიცებას.

**ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს კონკრეტული დავალების შესრულების მიზნებისათვის სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას. მცირე ჯგუფებად დაყოფილ სტუდენტებს, სასწავლო კურსის სფეციფიკიდან გამომდინარე, ეძლევა რაიმე სასწავლო დავალება (კონკრეტული სიტუაციის ანალიზი; გეგმის/სტრატეგიის/პოლიტიკის

დოკუმენტის შეფასება; დოკუმენტის მონახაზის შექმნა; პრობლემის იდენტიფიცირება და გადანაცვება, სხვ.), რომლის შესასრულებლად ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება, ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის მეშვეობით სტუდენტი მოტივირებულია ყურადღებით მოისმინოს ლექცია და სათანადოდ მოამზადოს მასალა, რათა ეფექტურად ითანამშრომლოს გუნდთან. ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს გუნდში მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ეხმარება სტუდენტს საკუთარი აზრის არგუმენტირების, სხვისი აზრის მოსმენის, შეზღუდულ დროში სწრაფი ანალიზის უნარის გამომუშავებაში.

**პროექტის მომზადება** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია, რომელიც საკმაოდ წარმატებით გამოიყენება საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაში, რადგან ის აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა. პროექტების შემუშავება კონკრეტული სასწავლო პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაოა, რომლის დროსაც ვითარდება კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარები. პროექტის მომზადება მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. სასწავლო კურსისა და მოსამზადებელი პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროექტი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად. ასევე, საპროექტო სამუშაო შეიძლება მოიცავდეს ერთი ან რამდენიმე სასწავლო კურსის ფარგლებში გავლილ მასალას. მაშასადამე, საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას, სტუდენტები პროექტს ამზადებენ ერთი კონკრეტული კურსის ფარგლებში დასმული ამოცანის/პრობლემის გადასაწყვეტად, მაგრამ, კურსის და საპროექტო თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზოგჯერ მათ უწევთ ერთ სიტუაციაში მიღებული ცოდნის სხვა სიტუაციაში გამოყენება, რაც მათ ერთი და იმავე საკითხის მრავალი კუთხით დანახვაში ეხმარება. ამ დროს სტუდენტებს გამოუმუშავდებათ ცოდნის ტრანსფერისა და პრობლემის/საკითხის მულტიდისციპლინური გააზრების, კომპლექსური ანალიზისა და ამოცდილების სინთეზის უნარი. აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის განხორციელებისას ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში საპროექტო დავალების დასრულების შემდეგ, პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას, რაც, თავის მხრივ, სტუდენტებს ასევე უვითარებს პრეზენტაციის, კომუნიკაციის, დისკუსიაში მონაწილეობისა და საკუთარი პოზიციების არგუმენტირებულად წარმოჩენა-დაცვის უნარ-ჩვევებს.

**პრეზენტაცია** ითვალისწინებს ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, რომლის დროსაც სტუდენტები ვალდებული არიან მოიძიონ რელევანტური მასალები წინასწარ მოცემულ საკითხებზე და წარმოადგინონ სლაიდ-შოუ. სასწავლო კურსისა და საპრეზენტაციო დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით, სტუდენტებს შეუძლიათ პრეზენტაციები წარმოადგინონ როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.

**ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს ლექტორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია. ზოგიერთ სასწავლო კურსში ამ ფორმატით გამოყენებულია პრაქტიკული სავარჯიშოების/ამოცანების შესრულება, რაც ხელს უწყობს სტუდენტის მიერ კონკრეტული სავარჯიშოების შესრულების / ამოცანების გადანაცვების საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობით შესწავლას, თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავებას.

**ელექტრონული რესურსით სწავლება (E-learning)** – ამ მეთოდის გამოყენება ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში, ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში, კონკრეტული სპეციფიკური თემების/საკითხების დაუფლების მიზნით ელექტრონული რესურსების გამოყენებას და სწავლებას ინტერნეტით, სხვადასხვა პროგრამული პროდუქტით და/ან მულტიმედიური საშუალებებით. აღნიშნული მეთოდი აქტიურად გამოიყენება საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კონკრეტული კურსების განხორციელებისას. ელექტრონული რესურსებით სწავლება სტუდენტს აძლევს დარგობრივი ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას, არამედ უვითარებს ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავება-სისტემატიზების, საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადანაცვების მომზადება-მიღების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების უნარ-ჩვევებს. ეს მეთოდი ასევე ეფექტიანად გამოიყენება პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ენების სწავლების პროცესში და ხელს უწყობს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარებას.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია ასახულია კონკრეტული კურსის სილაბუსებში.

### **დასაქმების სფერო:**

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროა:

- სახელმწიფო საჯარო დანესებულებები;
- საბიუჯეტო ორგანიზაციები;
- რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაციები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები/წარმომადგენლობები.

კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეეძლება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე, საკუთარი ინტერესების შესაბამის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესების გათვალისწინებით.

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:** შეუზღუდავი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები, საკონფერენციო და საპრეზენტაციო დარბაზები, კეთილმოწყობილი აუდიტორიები, პროფესორ-მასწავლებელთა სალექციო კურსები, მათი პირადი ბიბლიოთეკა და რიდერები,

თანამედროვე ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურით განახლებული, ტექნიკურად აღჭურვილი ბიბლიოთეკა ჩართული საერთაშორისო ქსელში.

დარგობრივი ელექტრონული მონაცემთა ბაზა:

EIFL-ის კონსორციუმის ბაზები პუბლიკაციების გამოქვეყნების შესაძლებლობებით:

1. Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>);
2. e-Duke Journals Scholarly Collection (<https://read.dukeupress.edu/>);
3. Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/>);
4. European Respiratory Journal (<https://erj.ersjournals.com/>);
5. IMechE Journals (<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE>);
6. Mathematical Sciences Publishers Journals (<https://msp.org/>);
7. Openedition Journals (<https://www.openedition.org/>);
8. Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>);
9. SAGE Journals (<https://journals.sagepub.com/>);
10. The Company of Biologists' Journals (<https://www.biologists.com/development/>).
11. ACM Digital Library - <https://dl.acm.org/>

ელექტრონული წიგნების და ჟურნალების ბაზა (oxford university):

განათლება -

<https://academic.oup.com/books/search-results?q=&tax=AcademicSubjects/SOC01940>

ლინგვისტიკა -

<https://academic.oup.com/books/search-results?q=&tax=AcademicSubjects/AHU01290>

გარემოს დაცვა -

<https://academic.oup.com/books/search-results?q=&tax=AcademicSubjects/SOC02100>

ბიზნესი და მენეჯმენტი

<https://global.oup.com/academic/category/social-sciences/business-and-management/?lang=en&cc=ge>

ეკონომიკა

<https://global.oup.com/academic/category/social-sciences/economics/?lang=en&cc=ge>

ფინანსები

<https://global.oup.com/academic/category/law/financial-law/?lang=en&cc=ge>

HEINONLINE სამართლის მონაცემთა ბაზა: <https://heinonline.org/HOL/Welcome> (გარედან წვდომის სერვისის უზრუნველყოფით).

Elsevier მონაცემთა ბაზები

1. ScienceDirect®online <http://www.scopus.com>
2. Scopus® online <https://www.sciencedirect.com>

EBSCO-ს მონაცემთა ბაზები:

აგრარული მიმართულება:

EBSCO Food Science Source (გარედან წვდომის სერვისის უზრუნველყოფით).

ტურიზმის მიმართულება:

EBSCO Hospitality & Tourism Complete (გარედან წვდომის სერვისის უზრუნველყოფით).

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:** სტუდენტთა ცოდნის შეფასება და კრედიტის მინიჭება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების და სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულების (დამტკიცებული ნარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი №3, 10.03.20176.) შესაბამისად. დეტალურად იხ. სასწავლო კურსების სილაბუსები.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულება დამატებით გამოცდას ნიშნავს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F.

შუალედური, დასკვნითი/ფინალური და დამატებითი გამოცდები ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მეშვეობით, რომელიც მუშაობს შესაბამისი დებულების მიხედვით.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით.

**მითითება:** ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასების თითოეულ ფორმაში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი გამოცდის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. თითოეულ სასწავლო კურსში სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასების

საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან მინიმალური კომპეტენციის გათვალისწინებით.

სასწავლო პრაქტიკაში სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დაუშვებელია სტუდენტის მიერ პრაქტიკაში მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად შეფასება. შუალედური შეფასებების კომპონენტები განისაზღვრება და ქულები გადანაწილდება ლექტორის მიერ, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. (დეტალური ინფორმაცია მოცემულია სასწავლო პრაქტიკის სილაბუსში.)

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. კრედიტის მიღება შესაძლებელია მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში. დეტალური ინფორმაცია მოცემულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსსა და საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის შესახებ დებულებაში.

**სწავლების ორგანიზების თავისებურებები:** პროგრამა 240 კრედიტიანია

- ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი – 135 კრედიტი (ძირითად სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი - 120 კრედიტი (მათ შორის, სასწავლო პრაქტიკა - 5 კრედიტი; საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი); ძირითად სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 15 კრედიტი)
- თავისუფალი (სავალდებულო) კომპონენტი - 35 კრედიტი
- თავისუფალი (არჩევითი) კომპონენტი - 10 კრედიტი
- დამატებით პროგრამა (Minor) ან თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი;

**შენიშვნა:** ვინაიდან საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად განსაზღვრულია ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში, ამიტომ, პროგრამის თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში შეთავაზებულია ინგლისური ენის სავალდებულოდ სწავლება 20 კრედიტის მოცულობით, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს პროგრამის დასრულებისა და კვალიფიკაციის მინიჭებისათვის დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: “საჯარო მმართველობის” სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	პროგრამის კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	სავარაუდო სემესტრი	ECTS კრედიტები	საათი		სულ
						საკონტაქტო	დამოუკიდებელი	
<b>სასწავლო კომპონენტი</b>								
<i>ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი - 120 ECTS</i>								
1.	SBLS1PAFoS&L	სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები	არ აქვს	I	4	32	68	100
2.	SBLS1PACLoG	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	არ აქვს	I	5	46	79	125
3.	SBLS1PAPoE	ეკონომიკის პრინციპები	არ აქვს	I	5	32	93	125
4.	SBLS1PAMoPO	საჯარო ორგანიზაციების მართვა	არ აქვს	II	5	46	79	125
5.	SBLS1PATHoPG	პოლიტიკური ხელისუფლების თეორია	არ აქვს	II	5	32	93	125
6.	SBLS1PAML	მუნიციპალური სამართალი	საქართველოს კონსტიტუციური სამართ.	II	5	48	77	125
7.	SBLS1PAPF	საჯარო ფინანსების მართვა	ეკონომიკის პრინციპები	III	6	46	104	150
8.	SBLS1PAL&ChMPo	ლიდერობა და ცვლილებების მართვა საჯარო ორგანიზაციაში	საჯარო ორგანიზაციების მართვა	III	5	48	77	125
9.	SBLS1PAEI-EUDS&I	ევროკავშირი და საქართველოს ევროპული ინტეგრაცია;	არ აქვს	III	5	36	89	125
10.	SBLS1PABoPAd	საჯარო მმართველობა	არ აქვს	IV	6	46	104	150
11.	SBLS1PACSL	სამოხელეო სამართალი	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	IV	4	32	68	100
12.	SBLS1PAPMinPS	პერსონალის მართვა საჯარო სამსახურში	საჯარო ორგანიზ. მართვა	IV	5	32	93	125

13.	SBLS1PAOofPACA	საჯარო ხელისუფლების ორგანიზაცია - შედარებითი ანალიზი	არ აქვს	V	3	32	43	75
14.	SBLS1PAAPinPS	ადმინისტრაციული წარმოება საჯარო სამსახურში	საჯარო მმართველობა	V	4	32	68	100
15.	SBLS1PAP&ECinPS	საჯარო სამსახურის ეთიკა და პროფესიული ქცევა	არ აქვს	V	4	32	68	100
16.	SBLS1PAPPA&P	საჯარო პოლიტიკის ანალიზი და დაგეგმვა	საჯარო ორგანიზ. მართვა	V	6	46	104	150
17.	SBLS1PABofPMPA	პროექტების მართვის საფუძვლები საჯარო მმართველობისათვის	საჯარო ორგანიზ. მართვა	V	3	32	43	75
18.	SBLS1PAM&RG	მუნიციპალური და რეგიონული მმართველობა	1). მუნიციპალსამართალ 2). საჯარო ფუნანსები	VI	5	46	79	125
19.	SBLS1PABofE-M	ელექტრონული მმართველობა	არ აქვს	VI	3	32	43	75
20.	SBLS1PAMofPS	საჯარო სერვისების მართვა	საჯარო მმართველობა	VI	3	32	43	75
21.	SBLS1PASPAAd	სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრირება	არ აქვს	VI	4	32	68	100
22.	SBLS1PASS	სოციალური სტატისტიკა	არ აქვს	VII	5	44	81	125
23.	SBLS1PAItORM	შესავალი კვლევის მეთოდებში	აკადემიური წერა	VII	5	44	81	125
24.	SBLS1PALP	სასწავლო პროექტიკა	პერსონალის მართვა საჯარო სამსახურში; პოლიტიკის ანალიზი და დაგეგმვა; სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრირება; მუნიციპალური და რეგიონული მმართველობა; საჯარო სერვისების მართვა;	VIII	5	65	60	125

25	SBLS1PABTh	საბაკალავრო ნაშრომი	1	VIII	10	12	238	250
<b>ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 15 ECTS</b>								
1.	SBLS1PAGALofG	საქართველოს ზოგად- ადმინისტრაციული სამართალი	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი		5	46	79	125
2.	SBLS1PAEL	საარჩევნო სამართალი	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი		4	48	52	100
3.	SBLS1PAFL	საფინანსო სამართალი	საქართველოს ზოგად- ადმინისტრაციული სამართალი		5	32	93	125
4.	SBLS1PAFofI	ინფორმაციის თავისუფლება	-		3	32	43	75
5.	SBLS1PADC	დემოკრატია და მოქალაქეობა	-		5	32	93	125
6.	SBLS1PARoCS	სამოქალაქო საზოგადოების როლი						
7.	SBLS1PAMofPC	პოლიტიკური კონფლიქტების მართვა	-		5	36	89	125
8.	SBLS1PAG&PPG	ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესები საქართველოში	-		5	32	93	125
9.	SBLS1PASD	მდგრადი განვითარების პრინციპები	-		4	32	68	100

<sup>1</sup> საბაკალავრო ნაშრომის არჩევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ შესრულებულია ვალდებულება - ათვისებული აქვს პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრული I-VII სემესტრის სასწავლო კურსები არა ნაკლებ 195 კრედიტის მოცულობით, მათ შორის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტებიდან ყველა სასწავლო კურსი, ჯამში 105 კრედიტის მოცულობით (გარდა სასწავლო პრაქტიკის კურსის, რომელსაც სტუდენტი გაივლის საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად). სტუდენტს შესაძლებლობა აქვს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად გაიაროს, ასევე, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტის ანდა თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (არა უმეტეს 45 კრედიტის მოცულობის სემესტრული დატვირთვა).

საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში თუ მას შესრულებული აქვს ვალდებულება ყველა სასწავლო კომპონენტში (ჯამში ათვისებული აქვს 230 კრედიტი).

10.	SBLS1PAFA&R	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება	-		6	46	104	150
11.	SBLS1PAFofA	აუდიტის საფუძვლები	საჯარო ფინანსები		5	46	79	125
12.	SBLS1PAI	ინვესტიციები	ეკონომიკის პრონკიპები		6	46	104	150
13.	SBLS1PASE	სოციალური მენარმეობა	-		5	46	79	125
14.	SBLS1PAFoSM	სტრატეგიული მართვის საფუძვლები	საჯარო ორგანიზაციების მართვა		5	46	79	125
